

თამარ კიკნაძე

თამარ კიკნაძე დაიბადა 1906 წლის 8 იანვარს (21 იანვარი) თბილისში. მამა წიგნის მაღაზიის მეპატრონე იყო, დედა კი დიასახლისი. განათლება თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში მიიღო, რომელიც 1922 წელს დაამთავრა. სწავლა განაგრძო პროლეტკულტის დრამატულ სტუდიაში სამსახიობო განხრით.

1924 წელს სწავლის დამთავრებისთანავე მიიწვიეს თბილისის მუშათა თეატრში, სადაც 1928 წლამდე მოღვაწეობდა. მას წილად ხვდა ემუშავა ისეთ ნიჭიერ რეჟისორებთან როგორებიც იყვნენ: ალექსანდრე წუწუნავა, მიხეილ ქორელი, შოთა აღსაბაძე, მიხეილ ჭიაურელი, ვახტანგ აბაშიძე, დოდო ანთაძე, გრიგოლ სულიაშვილი. მუშათა თეატრში მის მიერ შესრულებული როლებია: ლაურენსია (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), მანა („ჯანყი გურიაში“), კონტა („ბასტილის აღება“), ელზა („იმედის დაღუპვა“), ყარდაშვერდი (გ.ერისთავის „გაყრა“), პირველი ცოლი („ქმარი ხუთი ცოლისა“), ბიანკა („ჭირვეული ცოლის მორჯულება“), ლიზა („რაც გინახავს ვეღარ ნახავ“), ამალია („ყაჩაღები“).

თამარ კიკნაძე საქართველოს სხადანსხვა თეატრებში მოღვაწეობდა შემდეგ წლებში:

ქუთაისის თეატრში 1929-1930წწ.(რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი), ფოთის თეატრში 1930-1932წწ. (რეჟისორი ბორის გამრეკელი), თბილისის მუსიკალურ თეატრში 1933-1938წწ. (რეჟისორები მიხეილ ჭიაურელი და დავით ძნელაძე).

1938 წლიდან თამარ კიკნაძე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში მოღვაწეობდა წამყვან მსახიობად დოდო ანთაძის ხელმძღვანელობით.

თამარ კიკნაძეს სულ 120-მდე როლი აქვს შესრულებული, ძირითადად სახასიათო პერსონაჟები.

თამარ კიკნაძის მიერ შესრულებული როლებია: კოწიას მეუღლე (შაღვა დადიანის „გუმინდელი“), კაკადა (პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), ბიანკა, გონერილა (უილიამ შექსპირის „ოტელო“, „მეფე ლირი“), ჯენი (ბერნარდ შოუს „ემმაკის მოწაფე“), ელენე გორნოსტაევა (კ. ტრენიოვის „ლუბოვ იაროვია“), ქვათა ლოლუა (ო. მამფორიას „ტაგუ“), ეკა (დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“), მართა (კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“), აკვირინე (ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“), მუზა (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“) და სხვა.

1940 წელს თამარ კიკნაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, 1941 წელს მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში, ხოლო 1945 წელს „კავკასიის დაცვისთვის“.

1950 წელს თამარ კიკნაძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1954 წელს უმაღლესი კატეგორიის „ბ“ ჯგუფის მსახიობის წოდება.

1976 წელს ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თამარ კიკნაძეს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

თამარ კიკნაძე რამდენჯერმე იყო არჩეული ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატად. ქალაქის სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის მიღებული ჰქონდა საპატიო სიგელები.

თამარ კიკნაძე გარდაიცვალა 1933 წელს.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ

1. თამარ კიკნაძის მიერ თბილისის მუშათა, ქუთაისისა და ჭიათურის თეატრებში შესრულებული როლების სია.
1939წ. 5 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 4 გვ.
2. თამარ კიკნაძის შრომის წიგნაკი.

1939წ. 10 ნოემბერი. ნაბეჭდი. ასლი. 3 გვ.

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ კიკნაძისადმი, ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დაარსების 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო წარმატებისათვის.
1940წ. 29 ივნისი. თბილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი. დაზიანებულია. 1 ც.
4. თამარ კიკნაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1940წ. 22 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
5. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის დირექტორ დავით ძნელაძის მიერ გაცემული ცნობა თამარ კიკნაძისადმი, ამავე თეატრში 1933 წლიდან 1938 წლამდე მოღვაწეობის შესახებ.
1948წ. 12 მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი დავით ძნელაძე. საქმეთა სამმართველოს მმართველი- გორდელაძე. მელანი. 1 გვ.
6. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ვ. მურღულიას მიერ გაცემული ცნობა თამარ კიკნაძისადმი, მისი პირადი განცხადებისა და სხვა თეატრში გადასვლის საფუძველზე.
1948წ. 12 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი ვ. მურღულია, საქმეთა მმართველი თ. ბედოშვილი. დაზიანებული. 1 გვ.
7. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ კიკნაძისადმი სსრ დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1950წ. 30 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ. 3 ეგზ.
8. თამარ კიკნაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950წ. 18 ნოემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ერთვის ფოტო. 4 გვ.
9. თამარ კიკნაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა.
1950წ. 25 ნოემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 2 გვ.
10. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ კიკნაძისადმი, საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1951წ. 9 თებერვალი. თბილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გოგუა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი. 1 ც.
11. თამარ კიკნაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1951წ. 30 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
12. თამარ კიკნაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1954წ. 15 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ერთვის ფოტო. 4 გვ.
13. ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ მ. მეფარიშვილის მიერ გაცემული დახასიათება თამარ კიკნაძისადმი. ერთვის თამარ კიკნაძის ბიოგრაფია და შესრულებული როლების სია.
1954წ. 18 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი მ. მეფარიშვილი, უფროსი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი. 3 გვ.
14. ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კომისიის მიერ გაცემული საკვალიფიკაციო ფურცელი თამარ კიკნაძისადმი უმაღლესი კატეგორიის “ბ” ჯგუფის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით
1954წ. 6 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ერთვის შესრულებული როლების სია. ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე პავლე კანდელაკი, კომისიის წევრები: ალექსანდრე თაყაიშვილი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, გიორგი დავითაშვილი, ვ. არჯევანიძე, ირინა შტემბერგი. თეატრის დირექტორი მ. მეფარიშვილი, მთავარი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი, მდივანი ვ. ყუფარაძე. 4 გვ.
15. მშრომელთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მიერ გაცემული საპატიო სიგელი

- თამარ კიკნაძისადმი ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის აღსანიშნავად, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.
- 1963 წ. 8 მარტი. ქუთაისი. დასტამბული. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქალაქო აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ბარათაშვილი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ფრუიძე. დაზიანებულია. 1 ც.
16. აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დირექტორ მ. ლეჟავას მიერ გაცემული ცნობა თამარ კიკნაძისადმი, ამავე თეატრში 1928 წლის 1 სექტემბრიდან 1929 წლის სექტემბრამდე და 1932 წლის აგვისტოდან 1933 წლის აგვისტომდე მოღვაწეობის შესახებ. 1957 წ. 17 მარტი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს თეატრის დირექტორი მ. ლეჟავა. 1 ც.
17. თამარ კიკნაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა. 1954 წ. 18 ნოემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 3 გვ.
18. თამარ კიკნაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა. 1970 წ. 10 იანვარი. ბლანკი. ხელით შევსებული. ერთვის ფოტო. 3 გვ.
19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მინიჭებული საქართველოს სსრ სახალხო დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება თამარ კიკნაძისადმი, ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ქალთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით. 1976 წ. 28 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. დამოწმებული სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსის ედიბერიძის მიერ. 1 ც.
20. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ კიკნაძისადმი, სსრ დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. 1976 წ. 8 ივნისი. თბილისი. მყარი ყდით. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
21. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ კიკნაძისადმი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად მოპოვებული მაღალი შრომითი წარმატებებისათვის. 1981 წ. 8 მაისი. ქუთაისი. დასტამბული. ხელს აწერენ: საქართველოს კ.პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. რუხაძე. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. 1 ც.
22. ვასო აბაშიძის სახელობის საქალაქო კულტურის სახლის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ კიკნაძისადმი „სსრ კავშირი-მშვიდობის მედროშეა“ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის. 1982 წ. 17 მაისი. დასტამბული. ხელნაწერი. ხელს აწერს კულტურის სახლის დირექტორი პ. ბასილაძე. 1 ც.
23. თამარ კიკნაძის ავტობიოგრაფია. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
24. თამარ კიკნაძის 1924 წლიდან 1986 წლამდე შესრულებული როლების სია. უთარილო. ავტოგრაფი. 2 გვ.
25. თამარ კიკნაძის ავტობიოგრაფია. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ერთვის სია. 3 გვ.
26. თამარ კიკნაძის ავტობიოგრაფია. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
27. საკავშირო ლენინური კომუნისტური ახალგაზრდული ლიგის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ კიკნაძისადმი. უთარილო. დასტამბული. ნაბეჭდი. 1 ც.
28. თამარ კიკნაძის მიერ შესრულებული როლების სია. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.
29. თამარ კიკნაძის მიერ შესრულებული როლების სია. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.
30. თამარ კიკნაძის მიერ შესრულებული როლების სია ქუთაისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების თეატრებში.

